

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი CCIIR; მისამართი: ე.ტატიშვილის
19/54 0179 თბილისი, საქართველო; ტელ/ფაქსი: (995-32) 233274; ვებ-გვერდი: www.cciir.ge
E-mail: info@cciir.ge

CCIIR - ის 2013 წლის ანგარიში



CCIIR
თბილისი
2014

შინაარსი

CCIIR - ის შესახებ.....	3
2013 წელს განხორციელებული პროექტები	
❖ „ურთიერთთანამშრომლობა ქვემო ქართლის / სამცხე-ჯავახეთისა და საქართველოს სხვა რეგიონების მასწავლებლებს შორის“.....	5
❖ „საქართველოში მულტილინგვური განათლების შესახებ დოკუმენტური ფილმის ჩვენება“.....	7
❖ „ინტერკულტურული განათლების ასპექტების კვლევა საქართველოს სკოლების დაწყებით საფეხურზე“.....	10
❖ “კვოტირების სისტემის კვლევა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში”.....	12
სხვა აქტივობები	14
ორგანიზაციული სტრუქტურა	19
პარტნიორები და დონორი ორგანიზაციები	20

CCIIR - ის შესახებ

„სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ 2005 წლიდან მუშაობს ეთნიკური უმცირესობების განათლების, მათი სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ხელშესაწყობად. ორგანიზაციამ სხვადასხვა დონორი ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერით განახორციელა 70 - ზე მეტი პროექტი და გამოსცა 100 - ზე მეტი პუბლიკაცია, მათ შორის პოლიტიკის დოკუმენტები, მეთოდოლოგიური მასალები მასწავლებლებისთვის, ენის სახელმძღვანელოები, ლექსიკონები, თვითმასწავლებლები, ჟურნალები, ელექტრონული პროდუქტები და სხვა.

ორგანიზაციის მისია და ხედვა:

ადამიანთა უფლებების დაცვა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი საკითხებია. ამასთან, დემოკრატიული საზოგადოების უმთავრესი პრინციპი მოქალაქეების სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის/ჩართულობის ხარისხით განისაზღვრება. მოქალაქეთა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა (სახელმწიფოს მართვა, ეკონომიკური დოვლათის და კულტურული ღერებულებების შექმნა) და ისეთი მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელიც კარგად არის ინფორმირებული სახელმწიფოში არსებულ სიტუაციის შესახებ ჩვენი ორგანიზაციის მთავარი მისია.

ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები:

- სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა;
- სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ხელშესაწყობად შესაბამისი პროექტების, პროგრამების მომზადება და განხორციელება;
- უმცირესობათა უფლებების დაცვა;
- ინფორმაციის გავრცელება უმცირესობების უფლებების შესახებ;
- ეთნიკური უმცირესობების ლოიალური დამოკიდებულების ჩამოყალიბება საქართველოს სახელმწიფოებრიობის მიმართ;
- საზოგადოებაში პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება ეთნიკური უმცირესობების მიმართ;
- ეთნიკურ უმცირესობათა ადამიანური რესურსების მობილიზება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართვა;
- განათლების რეფორმის მხარდაჭერა და უმცირესობების უფლებების განსაზღვრა მათი მიმდინარეობისას;
- საგანმანათლებლო პროექტებისა და პროგრამების მომზადება და განხორციელება;
- ლინგვისტური ველის ფორმირების ხელშეწყობა;

- სახელმწიფო ენის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ხელშეწყობა;
- სახელმწიფო ენის სტატუსის უზრუნველყოფი სახელმწიფო და არასახელმწიფო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობა;
- ბილინგვური სწავლებისა და არაქართულენოვანი სკოლების რეფორმირების ხელშეწყობა;
- ეროვნებათმორისო დიალოგის ხელშეწყობა;
- დეპორტირებული მოსახლეობის რეპატრიაციის, ინტეგრაციისა და დამკვიდრების ხელშეწყობა;
- კონფლიქტების პრევენციის და გადაწყვეტის ხელშეწყობა;
- უმცირესობათა ენების შენარჩუნებისა და განვითარებისთვის ხელშეწყობა;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ლტოლვილთა, დევნილთა და სხვა შეჭირვებული მოსახლეობის შესახებ ონფორმაციის გავრცელების, მათი უფლებების დაცვის, საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

სამიზნე ჯგუფები:

სომხებისა და აზერბაიჯანელების ორი ძირითადი ეთნიკური ჯგუფი დასახლებული სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში; ეთნიკური უმცირესობის სკოლები საქართველოში, სადაც სწავლების ენას წარმოადგენს არა ქართული, არამედ აზერბაიჯანული და სომხური; ეთნიკური უმცირესობის მოსწავლეები და მასწავლებლები; ეთნიკური უმცირესობის სტუდენტები და საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები და სხვები.

CCIIR - ის პროგრამები და პრიორიტეტები:

1. მულტილინგვური/მულტიკულტურული საგანმანათლებლო პროექტები
2. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება
3. ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება
4. მოზრდილთა განათლება
5. წიგნიერება და ორენოვანი წიგნიერება
6. განათლების პოლიტიკის შესწავლა და ანალიზი

პროექტი „ურთიერთთანამშრომლობა ქვემო ქართლის / სამცხე-ჯავახეთისა და საქართველოს სხვა რეგიონების მასწავლებლებს შორის“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობითა და ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

პროექტის მიზანია არაქართულენოვანი სკოლების დაწყებითი კლასის მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და საქართველოს ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სკოლების თანამშრომლობა.

პროექტის ამოცანები

- ✓ ეთნიკური უმცირესობის მასწავლებლებისათვის ქართული ენის სწავლება/ენობრივი კომპეტენციების განვითარება
- ✓ ენის სწავლების პროცესში შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ხელშეწყობა
- ✓ გაცვლით პროგრამაში მონაწილე მასწავლებლების მიერ სამომავლო ერთობლივი პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების ხელშეწყობა
- ✓ გამოცდილების გაზიარება
- ✓ ბილინგვური სწავლების უნარების შეძენა/განვითარება
- ✓ ბილინგვური სწავლების პროცესის ხელშეწყობა უმცირესობების სკოლებში.

პროექტის I სამიზნე ჯგუფი: არაქართულენოვანი სკოლების ეთნიკური უმცირესობების დაწყებითი კლასების (I-VI) 40 მასწავლებელი (აქედან 20 - ქვემო ქართლისა და 20 სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან); II ჯგუფი: თბილისისა და საქართველოს სხვა რეგიონების ქართული სკოლების დაწყებითი კლასების (I-VI) 40 ქართველი მასწავლებელი.

ბენეფიციარები: საქართველოს მასშტაბით 80 - მდე სკოლა; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის არაქართულენოვანი სკოლების 1-6 კლასის მოსწავლეები.



პროგრამის ფარგლებში ეთნიკური უმცირესობების დაწყებითი კლასების 40 მასწავლებელი **1 თვით** გაემგზავრა თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სკოლებში. ამ პერიოდის განმავლობაში სომეხი და აზერბაიჯანელი მასწავლებლები მასპინძელ ქართულ სკოლებში დაწყებითი კლასის ქართველ მასწავლებლებთან ერთად მუშაობდნენ: დაესწრნენ კოლეგების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს და მონაწილეობა მიიღეს გაკვეთილის დაგეგმვისა და მსვლელობის პროცესში. ამ

პერიოდის განმავლობაში თითოეული მათგანი ცხოვრობდა თავისი ქართველი კოლეგა მასწავლებლის ოჯახში.



გამგზავრებამდე „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრმა“ (CCIIR) პროფესიულ გაცვლით პროგრამაში მონაწილე მასწავლებლებისთვის (როგორც ქართველი, ისე სომეხი და აზერბაიჯანელი) საერთო საინფორმაციო ტრენინგები ჩაატარა. ტრენინგების მიზანი იყო ამ მასწავლებლებისთვის დეტალური ინფორმაციის მიწოდება გაცვლითი პროგრამის მიზნების, ამოცანებისა და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ.



მონიტორინგი: გაცვლითი პროგრამის ფარგლებში CCIIR - მა ჩაატარა მასწავლებელთა მუშაობის პროცესის მონიტორინგი, ეწვია გაცვლით პროგრამაში მონაწილე ყველა სკოლას და დაესწრო ერთობლივ გაკვეთილებს. ამასთან, პროგრამაში მონაწილე მასწავლებლებმა სპეციალურად შემუშავებული კითხვარები შეავსეს, რომლის მიზანიც იყო მათგან უკუკავშირის მიღება (რატომ გადაწყვიტეს პროგრამაში მონაწილეობა, რა მოლოდინები ჰქონდათ და რამდენად გაუმართლდათ ეს მოლოდინები, რას შეცვლიდნენ პროექტში, რა სირთულეებს წააწყდნენ გაცვლითი პროგრამის პერიოდში, რა პოზიტორი შედეგები მიიღეს და ა.შ.). მასწავლებლებმა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში გაწეული მუშაობის ანგარიშიც წარმოადგინეს.

გაცვლითი პროგრამა დასრულდა დახურვის ცერემონილით, რომელიც გაიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. პროგრამაში მონაწილე 80 პედაგოგს გადაეცა პროგრამაში მონაწილეობის სერთიფიკატი.



**პროექტი „საქართველოში მულტილინგვური განათლების შესახებ დოკუმენტური ფილმის ჩვენება“
ეუთოს ეროვნული უმცირესობების უმაღლესი კომისრის ოფისის (HCNM) დაფინანსებით
განხორციელდა.**

დოკუმენტური ფილმი „საქართველო: ერთი სახელმწიფო, მრავალი ენა - როგორ გადავლახოთ ენობრივი ბარიერი“, რომელიც საქართველოში ენობრივი პოლიტიკისა და განათლების სფეროში HCNM - ის ათწლიან გამოცდილებას ასახავს, ეუთომ 2012 წელს გადაიღო.



პროექტის მიზანია მულტილინგვური განათლების რეფორმაში ჩართული მხარეების ცნობიერების ამაღლება რეფორმის გრძელვადიანი სტრატეგიისა და პერსპექტივების შესახებ, სადაც ასევე წარმოჩენილია ჩართული მხარეების კონტრიბუცია;

ფილმის მიზანია ამ სფეროში ყველა დაინტერესებულ მხარეს გააცნოს ის უპირატესობები, დადებითი თუ უარყოფითი მხარეები, ის გამოწვევები, რომლებიც მულტილინგვური განათლების რეფორმის განხორციელებას ახლავს თან. ასევე გააცნოს ის აქტივობები, რომლებიც ხორციელდება ამ რეფორმის ფარგლებში.

ბენეფიციარები

- ✓ შეხვედრების 500- ზე მეტი მონაწილე სამცხე-ჯავახეთიდან და ქვემო ქართლიდან (რაიონის სკოლის მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მოსწავლეები და მათი მშობლები, რაიონის რესურს ცენტრებისა და „ენის სახლების“ თანამშრომლები);
- ✓ განათლებისა და მეცნერების სამინისტროს წარმომადგენლები, რეფორმის ავტორები;
- ✓ განათლების ექსპერტები;
- ✓ განათლების/მულტიკულტურული განათლებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები;

შესრულებული აქტივობები/პროექტის შედეგები



CCIIR – მა მოაწყო ფილმის ჩვენება სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში; ამ რეგიონების რაიონულ ცენტრებსა და სოფლებში სულ

გამართა 21 შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა 500 - ზე მეტმა ადამიანმა მიიღო;

მიზნობრივი აუდიტორიისთვის მოეწყო დისკუსიები ნაჩვენები დოკუმენტური ფილმისა და ზოგადად, მულტილინგვურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. აუდიტორიისგან მივიღეთ რეკომენდაციები რათა განათლების მესვეურთათვის სამომავლო ვალდებულებები მკაფიოდ იყოს განსაზღვრული;

CCIIR – მა მოამზადა სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში გამართული დისკუსიების მოკლე ვიდეო კოლაჟი, რომელიც ნაჩვენები იყო საბოლოო პრეზენტაციაზე;

CCIIR – მა ეუთოს ეროვნულ უმცირესობების უმაღლესი კომისრის ოფისთან ერთად გამართა პროექტის შედეგების პრეზენტაცია, რომელსაც 50 ადამიანი დაესწრო.



ძირითადი მიგნებები

- პრობლემები, რომლებიც რეფორმის არათანმიმდევრულობას უკავშირდება მკაფიო და ნათელია ადგილობრივი სასკოლო და საგანმანათლებლო საზოგადოებისათვის;
- ენის სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემები;
- სახელმძღვანელოების სირთულე; რთული ტერმინები; მასალა უნდა ყოფილიყო ადაპტირებული, მაგრამ არ არის; სახელმძღვანელოებში ქართული ტექსტი საკმაოდ რთულია, მასწავლებლებს უწევთ თარგმნა და გამარტივება;
- სახელმძღვანელოებში (განსაკუთრებით ისტორიის და გეოგრაფიის) ბევრია ტიპოგრაფიული შეცდომები;
- ხშირ შემთხვევებში მასწავლებლები უგულებელყოფენ ხელმძღვანელოებში ქართულ ნაწილს;
- სახელმძღვანელოების თარგმანასთან დაკავშირებული ხარვეზები (რთულად ნათარგმნი);
- მასწავლებლებისთვის მეთოდური მასალების არ არსებობა; სწავლების მეთოდის არ ცოდნა;
- ენის არ ცოდნა და მასწავლებლების კომპეტენცია (მასწავლებლებმა არ იციან ქართული, არ არიან ბილინგვური მასწავლებლები/არ არიან მზად ბილინგვურად ასწავლონ/ არაპროფესიონალიზმი / შესაბამისი კადრების არ არსებობა);
- ნაკლები ინფორმირებულობა ბილინგვურ განათლებაზე;
- ქართველებთან კომუნიკაციის ნაკლებობა;
- ზოგ შემთხვევაში: იდენტობის დაკარგვის შიში/მშობლიური ენის ქართული ენით ჩანაცვლების საფრთხე;
- მშობლებსა და მასწავლებლებს შორის ნაკლები კომუნიკაცია (მხოლოდ მშობლებს აქვთ ერთმანეთთან კომუნიკაცია და ეხმარებიან ერთმანეთს);
- გარდა მთელი რიგი პრობლემებისა სკოლაში შესაბამისი გარემოც (ინფრასტრუქტურა) არ არსებობს იმისათვის რომ რეფორმა წარმატებულად განხორციელდეს;

- ბილინგვური განათლების პოლიტიკის აუცილებლობასა და სახელმწიფო ენის ფლობის აუცილებლობას აღიარებს მიზნობრივი ჯგუფების აბსოლუტური უმრავლესობა;

უკუკავშირი

დისკუსიების შედეგად მიღებული ძირითადი რეკომენდაციები:

- ✓ ბილინგვური მოსამზადებელი ჯგუფები (მათ შორის სკოლამდელიც)
- ✓ სასწავლო პროცესში პროგრამული მულტფილმების ჩართვა (სერიებად)
- ✓ ადგილზე მასწავლებელთა ტრენინგების ჩატარება/მათი გადამზადება
- ✓ სასწავლო პროცესის მუდმივი მონიტორინგი (ბილინგვური გაკვეთილების)
- ✓ სახელმძღვანელოებში ტექსტების/მასალის გამარტივება (*“ძალიან მარტივი ენით იყოს დაწერილი ქართულად ნათარგმნი მასალა...”*)
- ✓ დამხმარე ბილინგვური მასწავლებელი (*“ორივემ ერთად უნდა ჩაატაროს გაკვეთილი...გადაინაწილონ ფუნქციები..”*)
- ✓ მეთოდის სწავლება
- ✓ მეთოდური მასალების მიწოდება
- ✓ ღონისძიებები: გაცვლითი პროგრამები, სპორტული შეჯიბრებები, გარე აქტივობები...
- ✓ რეფორმის ეტაპობრივად განხორციელება
- ✓ მშობლების აქტიური ჩართვა/დაინტერესება სასწავლო პროცესში
- ✓ ბილინგვური მასწავლებლებისთვის მოტივაციის ამაღლება (ხელფასის მომატება)
- ✓ ქართული ენის შემსწავლელი კურსების არსებობა
- ✓ ქართული ტელეარხების ხელმისაწვდომობა
- ✓ აუცილებელია რეგულარული საინფორმაციო კამპანიის წარმოება ბილინგვური განათლების მნიშვნელობის გააზრებისა და სწორად წარმართვის ხელშესაწყობად;

ფილმი: http://www.youtube.com/watch?v=qd3p_9ki5wY

დისკუსიების ვიდეო კოლაჟი: <http://allshares.ge/download.php?id=42AD948298>

პროექტი „ინტერკულტურული განათლების ასპექტების კვლევა საქართველოს სკოლების დაწყებით საფეხურზე“ USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის - „საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების“ (G-PAC) - ფარგლებში განხორციელდა.

კვლევის მიზანია საქართველოს საჯარო სკოლებში დაწყებითი კლასების მასწავლებელთა ინტერკულტურული მგრძნობელობის დონის განსაზღვრა და მათგან განსხვავებული სხვადასხვა ჯგუფების მიმართ მათი დამოკიდებულებების შესწავლა.

ამოცანები/კვლევის მეთოდოლოგია

- ✓ მასწავლებელთა ინტერკულტურული მგრძნობელობის დადგენა სპეციალურად შემუშავებული კითხვარის მეშვეობით *(სულ გამოიკითხა 400 მასწავლებელი)*
- ✓ იმ მეთოდებისა და სტრატეგიების გამოვლენა, რომლებსაც მასწავლებლები იყენებენ მოსწავლეებში ინტერკულტურული მგრძნობელობის განსავითარებლად და მულტიკულტურული მიდგომების დასაწერად მათთან ინტერვიუების ჩატარების გზით *(სულ 65 ინტერვიუ)*
- ✓ ყველა იმ ხარვეზის გამოვლენა, რომელიც უკავშირდება ინტერკულტურული განათლების სხვადასხვა ასპექტს სწავლების პროცესში მოსწავლეთა და მშობელთა ფოკუსჯგუფების მეშვეობით *(სულ 13 ფოკუს ჯგუფი)*
- ✓ სახელმძღვანელოების ანალიზი სამაგიდე კვლევით *(17 სახელმძღვანელო)*

სამიზნე ჯგუფები: საჯარო სკოლების დაწყებითი კლასის მასწავლებლები მთელი საქართველოს მასშტაბით; სულ 27557 პედაგოგი 2053 საჯარო სკოლიდან; შეირჩა 400 პედაგოგი

შედეგები

- ✓ კვლევის მასალების შეგროვება, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი
- ✓ მიღებული შედეგების ანალიზზე დაყრდნობით რეკომენდაციების შემუშავება და მიწოდება შესაბამისი პირებისა და სტრუქტურებისთვის
- ✓ კვლევის შედეგების განხილვა გორის, ახალციხის, ქუთაისის, ბათუმისა და თელავის საგანმანათლებლო



რესურს ცენტრებში, სადაც შეხვედრებს 200 - მდე ადამიანი დაესწრო, მათ შორის რაიონის დაწყებითი სკოლების მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრაციისა და რესურს ცენტრების თანამშრომლები



✓ კვლევის შედეგების საბოლოო პრეზენტაციას დაესწრო 60 - ზე მეტი დაინტერესებული მხარე, მათ შორის პროექტის ბენეფიციარები, განათლების სამინისტროს წარმომადგენლები, განათლების ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციები.

✓ CCIIR - მა გამოსცა კვლევის ანგარიშის 500 ეგზემპლარი ინგლისურ და ქართულ ენაზე

კვლევის ანგარიშის ელ.ვერსია იხილეთ ლინკზე: <http://cciir.blogspot.com/>

პროექტი “კვოტირების სისტემის კვლევა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში” დაფინანსდა გაეროს ასოციაციის მიერ და განხორციელდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროგრამის "ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება" (ANI) ფარგლებში.

CCIIR - ის მიერ ჩატარებული კვლევის მიზანია შეაფასოს უმაღლეს სასწავლებლებში ეთნიკური უმცირესობებისთვის განათლების საშეღავათო პოლიტიკისა და ერთწლიანი ქართული ენის პროგრამის ეფექტურობა საქართველოში.

ეთნიკური უმცირესობებისთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებული საშეღავათო პოლიტიკა მიზნად ისახავს ყველა სტუდენტს მისცეს განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა.

2010 წლიდან დაწყებული ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამა დაახლოებით 1500 ეთნიკურად არაქართველ სტუდენტს აერთიანებს და მისი მიზანია ქართულ ენაზე უმაღლესი განათლების მისაღებად აუცილებელი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეძენა.

კვლევის ფარგლებში CCIIR - მა სამოქმედო პოლიტიკასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები შეისწავლა: ა) რამდენად კარგად იცნობენ სამოქმედო გეგმას ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, ბ) რამდენად ეფექტურია საშეღავათო პოლიტიკა ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, გ) რა მოთხოვნებს აკმაყოფილებს ქართული ენის ერთწლიანი პროგრამა სტუდენტების საბაკალავრო პროგრამაზე სწავლისა და სტუდენტური ცხოვრებისთვის ეფექტურად მომზადებისათვის, დ) როგორია ქართული ენის ერთწლიანი პროგრამები დაგეგმვის, განხორციელების, ინფრასტრუქტურის, სასწავლო და სტუდენტური გარემოს თვალსაზრისით ე) რა არის ის კონკრეტული პრობლემები და საკითხები, რომლებსაც აწყდებიან ეთნიკური უმცირესობების აბიტურიენტები, ერთწლიანი ქართული ენის პროგრამის სტუდენტები თუ საბაკალავრო საფეხურის სტუდენტები საშეღავათო პოლიტიკის განხორციელების პერიოდში.

კვლევის სამიზნე აუდიტორია



- ✓ საქართველოს 4 უმაღლესი სასწავლებელი, სადაც ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამა განსაკუთრებით ინტენსიურად ხორციელდება: (1) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; (2) ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტი; (3) ახალქალაქის კოლეჯი; (4) ილიას უნივერსიტეტი
- ✓ აღნიშნული უნივერსიტეტების ეთნიკურად არაქართველი სტუდენტები, ადმინისტრაციული და აკადემიური კოლექტივი
- ✓ საბაკალავრო პროგრამაზე მყოფი სტუდენტები
- ✓ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები.

კვლევის მეთოდები: სამაგიდე კვლევა, პირისპირ ინტევიუ, ფოკუს ჯგუფი, ანკეტირება.

შედეგები:

- ✓ კვლევის მასალების შეგროვება, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი
- ✓ მიღებული შედეგების ანალიზზე დაყრდნობით რეკომენდაციების შემუშავება და მიწოდება შესაბამისი პირებისა და სტრუქტურებისთვის
- ✓ კვლევის შედეგების განხილვა გორის, ახალციხის, ქუთაისის, ბათუმის, თელავის უნივერსიტეტებსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ქართული ენის ერთწლიანი პროგრამა ხორციელდება. შეხვედრებს 200-ზე მეტი ადამიანი დაესწრო, მათ შორის უნივერსიტეტის ლექტორები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, სტუდენტები და ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის ხელმძღვანელები



- ✓ კვლევის შედეგების საბოლოო პრეზენტაციას დაესწრო 70 - ზე მეტი დაინტერესებული მხარე, მათ შორის პროექტის ბენეფიციარები, განათლების სამინისტროს წარმომადგენლები, განათლების ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციები
- ✓ CCIIR - მა გამოსცა კვლევის ანგარიშის 500 ეგზემპლარი ინგლისურ და ქართულ ენაზე.



კვლევის ანგარიშის ელ.ვერსია იხილეთ ლინკზე:

<http://allshares.ge/download.php?id=72D29DC873>

CCIIR - ის მიერ 2013 წელს განხორციელებული სხვა აქტივობები

1. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრმა 2013 წელს *საქართველოს აშშ - ის საელჩოს დაფინანსებით წიგნების თარგმნის პროგრამის ფარგლებში*, ქართულ ენაზე თარგმნა და გამოსცა წიგნი **„სკოლა და საზოგადოება“**. წიგნი წარმოადგენს „თიჩერ კოლეჯ პრესის“ მიერ გამოცემული ხუთი წიგნისგან შემდგარი სერიის „ვიფიქროთ განათლების საკითხებზე“ ერთ-ერთ სახელმძღვანელოს, რომელიც განსაკუთრებით პოპულარობით სარგებლობს. მოცემული გამოცემა რიგით მეხუთეა.



სულ დაიბეჭდა 1000 ეგზემპლარი

წიგნის პრეზენტაცია შედგა გორის, ახალციხის, ქუთაისის, ბათუმის, თელავის უნივერსიტეტებსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. წიგნები აღნიშნულ უნივერსიტეტებს საჩუქრად გადაეცათ.

თარგმანზე მუშაობდნენ: სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის ხელმძღვანელი შალვა ტაბატაძე და ცენტრის პროგრამების მენეჯერი - ნათია გორგაძე. წიგნის რედაქტორია კახა გაბუნია.

წიგნი წარმოადგენს წინა გამოცემების განახლებულ და განვრცობილ ვერსიას. მასში ნათლად არის ჩამოყალიბებული და განხილული თანამედროვე სწავლების მნიშვნელოვანი საკითხები. სახელმძღვანელო წარმოადგენს არაჩვეულებრივ ინსტრუმენტს ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებაში არსებული საკითხებისა და პრობლემების გასაანალიზებლად. იგი ეხმარება მოქმედ და მომავალ მასწავლებლებს ლოგიკურად დაუკავშირონ თეორია პრაქტიკას.

წიგნის ელ.ვერსია <http://allshares.ge/download.php?id=CE57B63C85>

2. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრმა პროექტის „ორენოვანი წიგნიერების განვითარება არაქართულენოვან სკოლებში“ ფარგლებში ჩაატარა საბაზისო კვლევა, რომელშიც არაქართულენოვანი სკოლების პირველი კლასის მოსწავლეები მონაწილეობდნენ.


ეს იყო პროექტის პირველი ეტაპი, რომელიც ბილინგვური კითხვის



უნარების განვითარების პროცესის კვლევას გულისხმობდა სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის არაქართულენოვან სკოლებში. CCIIR - ის ექსპერტებმა შეიმუშავეს ტესტები ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ტესტირებაში მონაწილეობა მიიღო შემთხვევითობის წესით შერჩეულმა 70 - მა პირველკლასელმა.

საბაზისო კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა კითხვის რა ძირითადი უნარები შეიძინეს სომეხმა და აზერბაიჯანელმა მოსწავლეებმა, როგორც მშობლიურ, ისე ქართულ ენებზე. ტესტირების შედეგების ანალიზმა პროექტის გუნდს საშუალება მისცა დაეხვეწა პროექტის შემდგომი ეტაპების სტრატეგიული გეგმა.

3. ამავე პროექტის ფარგლებში შეიქმნა ახალი კომპიუტერული პროგრამა, რომელიც ინოვაციურია თავისი შინაარსით და მოხმარების პირობებით. პროგრამა აერთიანებს დონეებად დაყოფილ ბილინგვურ ონლაინ წიგნებს („კითხვის კიბეს“, რომელიც 20 თანმიმდევრული საფეხურისგან შედგება და მთლიანობაში 416 ტექსტს მოიცავს), კითხვის ფორმულას, ტექსტის ანალიზატორს, ელექტრონულ მულტილინგვურ ილუსტრირებულ ლექსიკონს. ელექტრონული პროდუქტების ინტერნეტ ვერსია წარმოდგენილია ვებ-გვერდის www.reading.ge - ის სახით. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სწავლის/სწავლების პროცესში პროექტის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს.



4. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართა კვლევის - **„გენდერული თანასწორობის საკითხები საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას“** ანგარიშისა და შედეგების პრეზენტაცია. კვლევა ჩატარდა ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისიის ფინანსური მხარდაჭერით პროექტის „მულტილინგვური განათლების რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში.

კვლევის ანგარიში, რომელიც სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ გამოიცა წარმოადგენს საბაზისო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების სასკოლო სახელმძღვანელოების გენდერულ ანალიზს.

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2012 წელს გრიფირებული და გამოცემული ისტორიისა და სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოები.

პრეზენტაციას 50 - მდე ადამიანი დაესწრო: განათლებისა და გენდერის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭოს თავჯდომარე, მანანა კობახიძე, ასევე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები.

კვლევის შედეგები შეგიძლიათ იხილოთ წარმოდგენილ სახელმძღვანელოში:

http://cciir.ge/upload/multi/geo/1355300618_genderuli%20%20tanasworobis%20sakitxebi%202012%20BOLO.pdf

5. გამოვიდა ჟურნალი "ბილინგვური განათლების" მეორე ნომერი. ჟურნალი 2010 წლიდან ყოველკვარტალურად გამოიცემა CCIIR - ის მიერ, ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის დაფინანსებით პროექტის „მულტილინგვური განათლების რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში. ჟურნალი ხელმისაწვდომია როგორც ქართულ, ასევე აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.

ჟურნალი "ბილინგვური განათლება" # 12, 2013

http://cciir.ge/upload/multi/geo/1360746303_Be-12.%20GEO.%20last%20version.pdf



6. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის ორგანიზებითა და კორეის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, „კავკასიურ სახლში“ ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია "კორეა-საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივები".

კონფერენცია მიზნად ისახავდა, ქართული საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ისეთ საკითხში, როგორიცაა სამხრეთ კორეის ეკონომიკის განვითარება. შეხვედრის თემა იყო საქართველოსა და კორეას შორის

ეკონომიკური და კულტურული კავშირების გაძლიერება და ასევე, სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივების დასახვა.

კონფერენციის თემაზე მოხსენებით გამოვიდნენ სპეციალურად მოწვეული სტუმრები: ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი; კიმ ჯაეჩეოლი, საქართველოში კორეის რესპუბლიკის საელჩოს მრჩეველი; გიორგი აბაშიშვილი, ილიაუნის ბიზნეს სკოლის დეკანის მოადგილე; ლი იეონო, იონსეის უნივერსიტეტის პროფესორი და ქეთევან გოჩიტაშვილი, ფოლოლოგიის დოქტორი, თსუ. ღონისძიებას 70 - მდე ადამიანი დაესწრო, მათ შორის ადგილობრივი და საერთაშორისი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, სახელმწიფო უწყებები, ეკონომიკის ექსპერტები და სხვები.

7. CCIIR - მა ხელი მოაწერა ხარისხისა და ეთიკის სახელმძღვანელო პრინციპების დოკუმენტს. ეს დოკუმენტი სტანდარტების კრებულია, რომელიც ანალიტიკურ ორგანიზაციებს თავიანთ საქმიანობაში გაუძღვება. მისი მიზანია ჩამოაყალიბოს უპირატესი პრინციპები და უზრუნველყოს ანალიტიკური ორგანიზაციების მიერ უმაღლესი პროფესიული სტანდარტების დაცვა. ეთიკის ნაწილი აერთიანებს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებული მმართველობა ორგანიზაციაში, ხოლო ხარისხის სტანდარტების მოიცავს კვლევის ხარისხის, ანალიზის და ადვოკატირების პროცესს.



აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) „საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროგრამა“ (G-PAC) დაეხმარა ქართულ ანალიტიკურ ორგანიზაციებს ამ სტანდარტების შემუშავებაში. სტანდარტები ეფუძნება აშშ-ში, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ მსგავსი სახის დოკუმენტებს. წინამდებარე სახელმძღვანელოს პრინციპების სამუშაო ვერსიას ასევე გაეცნენ არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო პოლიტიკის ექსპერტები და თავიანთი მოსაზრებები დააფიქსირეს. ხანგრძლივი დისკუსიის შედეგად და საჯარო პოლიტიკის კვლევის სფეროში საქართველოში არსებული რეალობის გათვალისწინებით, ქართული ანალიტიკური ორგანიზაციები საბოლოოდ ერთობლივად შეჯერდნენ და ხელი მოაწერეს ამ სახელმძღვანელო პრინციპებს.

ხარისხისა და ეთიკის სახელმძღვანელო პრინციპების დოკუმენტის ხელმოწერით, ანალიტიკური ორგანიზაციები იღებენ ვალდებულებას და პასუხისმგებლობას, განუხრელად დაიცვან ისინი, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ამ ორგანიზაციების რეპუტაციის, სანდოობისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესებას.

დოკუმენტზე თექვსმეტმა ქართულმა ანალიტიკურმა ორგანიზაციამ მოაწერა ხელი.

8. შეიქმნა საგაკვეთილო გეგმის პირველი ნიმუში იდეოგრაფებისა და ფიქტოგრამების გამოყენებით, რომლის ავტორია ნათია გორგაძე, CCIIR - ის პროგრამების მენეჯერი.


http://cciir.blogspot.com/2014/01/blog-post_9632.html

ნათია გორგაძის სტატია იდეოგრაფებისა და პიქტოგრაფების საგაკვეთილო პროცესთან დაკავშირებით http://cciir.blogspot.com/2014/01/blog-post_21.html

პარტნიორები და დონორი ორგანიზაციები

1. ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისი OSCE HCNM
2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
3. სახალხო დამცველის ოფისი
4. ევროპის საბჭოს ენობრივი განყოფილება
5. ფონდი ღია საზოგადოება-საქართველო
6. შვეიცარული არასამთავრობო ორგანიზაცია CIMERA
7. ლატვიური ენის შესწავლის სააგენტო (LVAVA)
8. არასამთავრობო ორგანიზაცია “Prodidactica”, მოლდავეთი
9. ევრაზიის პარტნიორობის ფონდი
10. ურბანული ინსტიტუტი
11. ღია საზოგადოების ინსტიტუტი, პროგრამა ”აღმოსავლეთი-აღმოსავლეთი”
12. სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი
13. ორგანიზაცია ”სკოლა,ოჯახი,საზოგადოება”
14. ბოლნისის ენის სახლი
15. უმცირესობათა საკითხთა ევროპული ცენტრი (ECMI)
16. ორგანიზაცია ”ქალები-ჯავახეთის მომავლისათვის”
17. ოს ქალთა საერთაშორისო ასოციაცია ”ალანელი”
18. აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი
19. ახალგაზრდა რესპუბლიკური ინსტიტუტი
20. თბილისი ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის
21. არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ორგანიზაციული სტრუქტურა



ჩვენ ყოველთვის მზად ვართ განვიხილოთ და გავიზიაროთ თქვენი წინადადებები, მოსაზრებები, ახალი იდეები. მომავალში, დაინტერესების შემთხვევაში, ჩვენ სიამოვნებით მოგაწვდით ინფორმაციას ჩვენი ორგანიზაციის სამომავლო გეგმების/პროექტების შესახებ.

დაგვიკავშირდით:

„სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“

0179 თბილისი, საქართველო ე. ტატიშვილის (ყოფილი ყაზბეგის) ქუჩა 19/54

ტელ/ფაქსი: (995-32) 23 32 74

www.cciir.ge;

E-mail: info@cciir.ge

შალვა ტაბატაძე – ხელმძღვანელი

+995 91 305955 stabatadze@cciir.ge

ნათია გორგაძე – პროექტების მენეჯერი

+995 99 390495 ngorgadze@cciir.ge

